მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის კონკურსის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ქართული დიასპორის მოსწავლეებისათვის კონკურსის „ქართული ანბანის ელჩები“ (შემდგომში – ,,კონკურსი“) მიზანია, ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდებში ქართული მეცნიერების პოპულარიზაციას, ქართული ანბანის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ქართული ენის ცოდნის განმტკიცებას.

2. კონკურსის ფარგლებში განსაზღვრულია ქართული ანბანის გაცნობა-პოპულარიზაციისათვის ვიდეორგოლების კონკურსის წესით შეფასება და საუკეთესოთა გამოვლენა.

3. კონკურსის შედეგი იქნება ქართული ანბანის პოპულარიზაცია უცხოეთში, ქართული დიასპორის მოსწავლე-ახალგაზრდების უფრო მეტად დაახლოება ქართულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცესთან.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ორგანიზატორია, კონკურსს მართავს და ახორციელებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში – „უნივერსიტეტი“), კერძოდ, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (შემდგომში – ,,ინსტიტუტი“) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

2. გამარჯვებული ვიდეორგოლები გამოვლინდება საჯაროდ გამოცხადებული კონკურსის გზით.

3. გამარჯვებულ კონკურსანტთა დაჯილდოებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

4. ინსტიტუტი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადების მოსამზადებელ სამუშაოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კონკურსის ჩატარების დებულების და კონკურსის გამოცხადების შესაბამისი განცხადების საჯაროდ განთავსებას (არანაკლებ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე);

გ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საკონკურსო ვიდეორგოლების შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას;

დ) საკონკურსო ვიდეორგოლების შეფასების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნას (შემდეგში - „კომისია“);

ე) კონკურსის საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფისათვის და მისი წარმატებით განხორციელებისათვის კონკურსის კოორდინატორის დამტკიცებას;

ვ) საკონკურსო ვიდეორგოლების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

ზ) გამარჯვებული საკონკურსო ვიდეორგოლების გამოვლენას.

5. არ განიხილება ვიდეორგოლები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსისათვის ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 3. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ უცხოეთში მცხოვრებ ქართული დიასპორის მოსწავლეებს, რომლებიც საზღვარგარეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იღებენ განათლებას.

მუხლი 4. კონკურსის განხორციელების ვადები და პირობები

1. კონკურსი განხორციელდება შემდეგი ვადებისა და პირობების დაცვით:

   ა) კონკურსის გამოცხადება: 2022 წლის 12 სექტემბერი;
   ბ) ვიდეორგოლები და განაცხადები (**ფორმა N1**) მიიღება 2022 წლის 14 სექტემბრიდან 2022 წლის 29 ნოემბრის 24:00 საათამდე (საქართველოს დროით) შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: anbani2022@gmail.com
   გ) ფორმა N1 მიიჩნევა საკონკურსო განაცხადად და მისი შევსებისა და გაგზავნის გარეშე ვიდეორგოლი არ შეფასდება. კონკურსანტი ვალდებულია შეავსოს საკონკურსო განაცხადის (ფორმა N1) ყველა ველი.
   დ) კონკურსში მონაწილეობის მიღებით კონკურსანტები ავტომატურად აცხადებენ თანხმობას, რომ მათი ვიდეორგოლ(ებ)ი ფეისბუკგვერდზე აიტვირთოს;
   ე) საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო ვიდეორგოლების განხილვა-შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა: **2022 წლის 1 დეკემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით;**
   ვ) ფეისბუკგვერდზე ხმათა უმრავლესობით (ე.წ. მოწონებების მიხედვით) გამარჯვებული – ხალხის რჩეული – ვიდეორგოლი გამოვლინდება კონკურსანტთა დაჯილდოების დღეს;
   ზ) საუკეთესო ვიდეორგოლების ავტორთა დაჯილდოება: **2022 წლის დეკემბერი.**

მუხლი 5. საკონკურსო ვიდეორგოლების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო ვიდეორგოლები უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე;

2. ვიდერგოლის თემა უნდა ეხებოდეს ქართულ ანბანს, ემსახურებოდეს მის წარდგენა-გაცნობას უცხოელ თანატოლებთან და წარმოაჩენდეს ვიდეორგოლის ავტორის შემოქმედებით უნარს, ავლენდეს ორიგინალურობას ქართული ანბანის პოპულარიზაციისათვის (კონკურსანტების შემოქმედებითი თავისუფლება არ იზღუდება: მათ შეუძლიათ ვიდეორგოლის შექმნისათვის გამოიყენონ გრაფიკა, მუსიკა, პოეზია; ვიდეორგოლს შესაძლოა ჰქონდეს საპრეზენტაციო ფორმა და ა.შ.).

3. ვიდეორგოლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს.

4. კონკურსის პირობების შესაბამისად წარმოდგენილი ვიდეორგოლები შესაფასებლად გადაეცემა კომისიას, რომელიც შედგება 3 წევრისაგან.

5. საკონკურსო ვიდეორგოლები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ვიდეორგოლის ორიგინალურობა (მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა);

2. ვიდეორგოლის შინაარსობრივი ინფორმაციულობა (მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა);

3. ეფექტური პრეზენტაცია (მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა);

4. თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით და ქულა განიმარტება შემდეგნაირად: 1 – შეუსაბამო; 2 – სუსტი; 3 – დამაკმაყოფილებელი; 4 – კარგი; 5 – საუკეთესო.

5. საკონკურსო კომისია გამოავლენს სამ გამარჯვებულს, ხოლო ფეისბუკგვერდზე განთავსებული ვიდეორგოლებიდან ხმათა უმრავლესობით (ე.წ. მოწონებების რაოდენობით) გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

მუხლი 6. საკონკურსო ვიდეორგოლების შეფასება და დამატებითი რეგულაციები

1. კონკურსისათვის იქმნება კომისია და ინიშნება კოორდინატორი ინსტიტუტის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

2. კომისიის წევრების და კოორდინატორის ანაზღაურება განისაზღვრება კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში, ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით.

3. საკონკურსო ვიდეორგოლები, რომლებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, არ განიხილება.

4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.